

# ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ეიჩე რენტალი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 4 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 205291441 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს; მოსამზადებელი სამუშაოები სამშენებლო მოედანზე, სამშენებლო მანქანების და მოწყობილობების იჯარა ოპერატორთან ერთად. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა 8. კომპანიისდამფუძნებლები არიან ლაშა ჯინჭარაძე 50%, კონსტანტინე კვერნაძე 50%. ხოლო დირექტორი ლაშა ჯინჭარაძე საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 45000 ლარს.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად. წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის წარდგენას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

### 2.1) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევრების პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

## 2.2) არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებული თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

## 2.3) მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, იჯარა შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

## 2.4) დაბეგვრა

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

## 2.5) შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგები თანხის კორექტირება.



## 2.6) ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებულ საქონლის რეალიზაციასთან/მომსახურების გაწევასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან. ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## 2.7) სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

## 2.8) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევი კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

## 2.9) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსურ ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

დირექტორი : ლაშა ჯინჭარაძე



# შპს ეიჩე რენტალის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| პერიოდი                                                                                        | 31/12/2022 | 31/12/2021 | 31/12/2020 |
|------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|------------|
| <b>აქტივები</b>                                                                                |            |            |            |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                          | 295141     | 105788     | 118263     |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                     | 31949      | 93603      | 129714     |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                    | 2288       | 0          | 0          |
| მარაგები                                                                                       | 230989     | 239270     | 237721     |
| მზა პროდუქცია                                                                                  | 0          | 0          | 0          |
| სხვა                                                                                           | 230989     | 239270     | 237721     |
| საინვესტიციო ქონება                                                                            | 0          | 0          | 0          |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                     | 9          | 0          | 6554       |
| ბიოლოგიური აქტივები                                                                            | 0          | 0          | 0          |
| თვითღირებულების მოდელით                                                                        | 0          | 0          | 0          |
| გადაფასების მოდელით                                                                            | 0          | 0          | 0          |
| გუდვილი                                                                                        | 0          | 0          | 0          |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                   | 1951       | 33492      | 71992      |
| ძირითადი საშუალებები                                                                           | 615928     | 843565     | 699178     |
| სულ აქტივები                                                                                   | 1178255    | 1315718    | 1263422    |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                           |            |            |            |
| საიჯარო ვალდებულება                                                                            | 0          | 0          | 0          |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                          | 137258     | 310233     | 287461     |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                     | 20771      | 30831      | 22362      |
| გამომუშავებული შემოსავალი                                                                      | 11440      | 11441      | 11441      |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                                | 20841      | 0          | 0          |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                                | 441451     | 208319     | 104302     |
| მიღებული გრანტები                                                                              | 0          | 0          | 0          |
| სხვა ვალდებულებები                                                                             | 2254       | 2760       | 8566       |
| სულ ვალდებულებები                                                                              | 634015     | 563584     | 434132     |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                       |            |            |            |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'სააქციო კაპიტალი') | 104362     | 117462     | 27594      |
| საემისიო შემოსავალი                                                                            | 0          | 0          | 0          |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                   | 0          | 0          | 0          |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                      | 439878     | 634672     | 801696     |
| გადაფასების რეზერვი                                                                            | 0          | 0          | 0          |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                           | 0          | 0          | 0          |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                          | 544240     | 752134     | 829290     |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                         | 1178255    | 1315718    | 1263422    |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                      | 560376     | 438661     | 254531     |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                                 | 192564     | 355265     | 321264     |

შპს ეიჩე რენტალის დირექტორი

ლამა ჯინჭარაძე





**საქმიანობის შედეგები**

| საქმიანობის შედეგები                                                     | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|--------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| ნეტო ამონაგები                                                           | 1629419    | 1836408    |
| საქონლის გაყიდვიდან                                                      | 1468237    | 1670716    |
| მომსახურების გაწევიდან                                                   | 161182     | 165692     |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                | -1332012   | -1512948   |
| საერთო მოგება                                                            | 297407     | 323460     |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                               | 211678     | 226971     |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                 | -238780    | -245923    |
| ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი                                                | -182465    | -212462    |
| საპროცენტო ხარჯი                                                         | -27075     | -26467     |
| იჯარის ხარჯი                                                             | -13385     | -16981     |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                 | -242174    | -215622    |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                   | -492201    | -490484    |
| საოპერაციო მოგება                                                        | -194794    | -167024    |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                                   |            |            |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                       | 0          | 0          |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | -194794    | -167024    |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                | 0          | 0          |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                   | -194794    | -167024    |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                 |            |            |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                   | 0          | 0          |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                      | -194794    | -167024    |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                      | 752134     | 829290     |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                | -13100     | 89868      |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                           | 544240     | 752134     |

**ფულადი სახსრების მოძრაობა**

| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                              | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები     | -186897    | -66642     |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 171873     | -139884    |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები       | 207916     | 193884     |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                                     | 192892     | -12642     |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                 | -3539      | 167        |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                | 105788     | 118263     |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                     | 295141     | 105788     |

შპს ეიჩე რენტალის დირექტორი



ლაშა ჯინჭარაძე